ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს **2023 წლის 23 მარტის** სხდომის

ოქმი # 3

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 31 წევრიდან - 18

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრისთვის სტატუსის შეწყვეტა
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
2. კრედიტების აღიარების კომისიის დამტკიცება
   მომხსენებელი: ს.დუნდუა
3. ასოცირებულ პროფესორ ნიკოლოზ სამხარაძის განცხადება სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ.
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
4. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სანდრო ტაბატაძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
5. ცვლილება ევრაზიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში
   მომხსენებელი: რ.ჯორბენაძე
6. საბაკალავრო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები" საგანზე ლექტორის დამატება
   მომხს. რ. ჯორბენაძე
7. ასოცირებული პროფესორის, სალომე დუნდუას განცხადების განხილვა რექტორის მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემაში გამოქვეყნებული ნაშრომისთვის განკუთვნილი ჯილდოს მინიჭების შესახებ
   მომხსენებელი: რ. ჯორბენაძე
8. დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
9. აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო მინიმუმის შესრულების საკითხი
   მომხსენებელი: ს.დუნდუა
10. 2022 წლის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შესახებ ასოცირებული პროფესორის, ლია წულაძის მიერ ფაკულტეტის დეკანის სახელზე შემოსული განცხადების განხილვა
    მომხს. ს. დუნდუა

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სტუდენტური კვოტით წარმოდგენილ ფაკულტეტის საბჭოს წევრი, რატი ხითარიძე, საბაკალავრო პროგრამის დასრულებისა და მისთვის ბაკალავრის ხარისხის მინიჭების შედეგად, არის

კურსდამთავრებული. შესაბამისად, ის ვეღარ გააგრძელებს ფაკულტეტის საბჭოს წევრობას სტუდენტური კვოტით და მას უნდა შეუწყდეს საბჭოს წევრის სტატუსი.
აზრი გამოთქვეს: ნ. პაქსაშვილმა, გ. გოგსაძემ.
დაადგინეს: საფაკულტეტო საბჭოს წევრის სტატუსი შეუწყდეს სტუდენტების კვოტოთ წარმოდგენილ რატი ხითარიძეს.

მოისმინეს: 2. ს. დუნდუამ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა ინფორმაცია კრედიტების აღიარების განახლებული კომისიის დამტკიცების საჭიროების შესახებ.
აზრი გამოთქვეს: ზ. აბაშიძემ, ზ. დავითაშვილმა
დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კრედიტების აღიარების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **რევაზ ჯორბენაძე** - კომისიის თავმჯდომარე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. **მარეხ დევიძე** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **მარიამ მსხალაია** - კომისიის მდივანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
4. **ხათუნა მაისაშვილი** - ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება;
5. **ნინო დურგლიშვილი** - ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება;
6. **კონსტანტინე შუბითიძე** - ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება;
7. **თამარ დოლბაია,** პროფესორი - საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება;
8. **სანდრო ტაბატაძე,** ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;
9. **ელენე გელაშვილი** - ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
10. **ნათელა მონიავა** - ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული პროფესორის ნიკოლოზ სამხარაძის განცხადება. ნ. სამხარაძის განცხადების მიხედვით, ის მუშაობს სტატიაზე, რომლის სამუშაო სათაურია „ასოცირებული ტრიოს ქვეყნებისა და ბოსნიის ევროკავშირში ინტეგრაციის პროგრესის შედარებითი ანალიზი.“ მოცემულ სტატიას გამოაქვეყნებს სკოპუსის ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალში. სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების პერიოდში ასევე, მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო კონფერენციაშიც. აღნიშნული სამუშაოს განხორციელების მიზნით, ნ. სამხარაძე ითხოვს სექტემბრამდე სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების აღებას.
აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, კ. შუბითიძემ, ხ, მაისაშვილმა, ვ. ლორთქიფანიძემ, ს, დუნდუამ, ზ, დავითაშვილმა, ფ. ასანიშვილმა, ზ. აბაშიძემ, ნ. ბელქანიამ.

დაადგინეს: მიეცეს რეკომენდაცია თსუ-ის რექტორის წინაშე ასოცირებულ პროფესორს, ნ. სამხარაძეს 2023 წლის 23 მარტიდან 23 სექტემბრამდე სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების გაფორმების შესახებ და დაევალოს დაბეჭდოს სტატია სკოპუსის ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალში სავარაუდო სათაურით „ასოცირებული ტრიოს ქვეყნებისა და ბოსნიის ევროკავშირში ინტეგრაციის პროგრესის შედარებითი ანალიზი" და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციაში.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სანდრო ტაბატაძის რეცენზენტებისა და სადისერტაციო კომისიის დამტკიცების შესახებ.
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ზ. აბაშიძემ.
დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება" დოქტორანტ სანდრო ტაბატაძის სადისერტაციო ნაშრომისა და დაცვის კომისიის შემადგენლობა:

დოქტორანტი: სანდრო ტაბატაძე
სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი;
სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,პოლიტიკური კურსის ტრანსფერი საქართველოს ზოგადი განათლების პოლიტიკაში";

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები:
1) თამარ ქარაია - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
პუბლიკაცია:Karaia, T. (2018). THE STATE OF CIVIC EDUCATION IN GEORGIA FROM FORMAL TO INFORMAL PRACTICES. *Eastern Europe Regional Studies*, (2).
2) ნანა მაკარაძე - პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
პუბლიკაცია:Mamuladze, N., Gurgenidze, M., & Makaradze, N. (2018). PRIVATE TUTORING: PROBLEMS AND SOLUTIONS. In *International Scientific and Practical Conference World science* (Vol. 7, No. 6, pp. 47-51). ROST.
3) ლივიუ მატეი - სოციოლოგიის დოქტორი, კინგს კოლეჯის განათლებისა და კომუნიკაციის სკოლის პროფესორი;
პუბლიკაცია:Matei, L., Craciun, D., & Torotcoi, S. (2018). A resounding success or downright failure? Understanding policy transfer within the Bologna Process in Central and Eastern Europe. In *Policy Experiments, Failures and Innovations* (pp. 170-188). Edward Elgar Publishing.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია
1)მალხაზ მაცაბერიძე- პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორი;
პუბლიკაცია: Matsaberidze, M. (2023). Collaborating Constitutional Principles of Education Policy of Constituent Assembly. ქართული პარლამენტარიზმი/The Georgian Parliamentarism.

2)ვალერიან დოლიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
პუბლიკაცია: Dolidze, V. (2021). Cumulative process of development of democracy in Georgia In Space, Society, Politics Conference Papers.
3)ავთანდილ ტუკვაძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი
პუბლიკაცია: Tukvadze, A. A., Ubilava, I. Z., Shulenina, N. V., Gelashvili, H. Z., & Giorgashvili, N. A. (2021). The sociology and education of the political elite in post-Soviet Georgia. In *SHS Web of Conferences* (Vol. 103, p. 02015). EDP Sciences.
4)ქეთევან ჭკუასელი - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი
პუბლიკაცია: Chkuaseli, K. (2018). SOCIAL FUNCTIONS OF EDUCATION. *Education Sciences and Psychology*, (2), 91-101.
5)ირმა გრძელიძე - ფილოლოგიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
პუბლიკაცია: Sharvashidze, G., Grdzelidze, I., Sikharulidze, D., & Gabrichidze, T. (2023). Data-driven analysis for evidence-based decision making at universities: benchmarking, software tools and weighted indicators in quality assurance–analytical framework of Tbilisi State University. *Quality in Higher Education*, *29*(1), 42-59.
6)თამარ კაკუტია - განათლების მეცნიერებების დოქტორი, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პროფესორი, განათლების ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი; შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი.
პუბლიკაცია:Butakor, P. K., Kakutia, T., Shah, S. M. M., & Hunt, E. (2022). Higher Education Challenges in the Era of Covid-19, from the Perspective of Educators and Students (Ghana, Georgia and Pakistan Cases)–A literature Review. *ESI Preprints*, *12*, 21-21.
7)ქეთევან აფთარაშვილი - განათლების მეცნიერებათა დოქტორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი.
პუბლიკაცია: აფთარაშვილი, ქ., & ქიტიაშვილი, ზ. (2012). მასწავლებლის შეფასების კითხვარი.

მოისმინეს: 5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რევაზ ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ევრაზიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში ინგლისურენოვანი კომპონენტის შესახებ ჩანაწერის დამატების ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: მ. წერეთელმა, ზ. აბაშიძემ

დაადგინეს: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები" ინგლისურენოვანი კომპონენტის შესახებ დაემატოს შემდეგი ჩანაწერი: "ინგლისურენოვან კომპონენტში მოიაზრება პროგრამის კურიკულუმში ნებისმიერი სასწავლო

კურსის ინგლისურ ენაზე განხორციელება და კონკრეტულ სემესტრებში ქართველი ან ერაზმუს+ გაცვლითი სტუდენტებისთვის მათი შეთავაზება ლექტორის თანხმობის შემთხვევაში, ასევე ინგლისურ ენაზე სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა."

მოისმინეს: 6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რევაზ ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის, ფ. ასანიშვილის განცხადების საფუძველზე, საბაკალავრო პროგრამაში საგანს „შესავალი ევროპათმცოდნეობაში", ნიკოლოზ სამხარაძის ნაცვლად, ერთჯერადად წაიკითხავს მოწვეული ლექტორი დიანა ენდელაძე.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, კ. შუბითიძემ

დაადგინეს: საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში შევიდეს ერთჯერადი ცვლილება და საგანი „შესავალი ევროპათმცოდნეობაში" ნ. სამხარაძის ნაცვლად ერთჯერადად წაიკითხოს მოწვეულმა ლექტორმა დიანა ენდელაძემ.

მოისმინეს: 7. რ. ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის დეკანის მ.შ., ქალბატონ მანანა შამილიშვილის სახელზე შემოსული ასოცირებული პროფესორის, სალომე დუნდუას განცხადება თსუ-ის რექტორის მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისთვის განკუთვნილი ჯილდოს მინიჭების შესახებ. ს. დუნდუას სტატია გამოქვეყნდა Web of Science-ში ინდექსირებულ იმპაქტ ფაქტორის მქონე (IF= 0.892) საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში "Transylvanian Review of Administrative Sciences" და აკმაყოფილებს თსუ-ის რექტორის 2021 წლის 19 მაისის N12/04 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ასევე, რ. ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება აღნიშნული ჟურნალის იმპაქტ ფაქტორი.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. ტალახაძემ

დაადგინეს: დამტკიცდეს გადაწყვეტილება სალომე დუნდუასთვის რექტორის #12/04, 19/05/2021 ბრძანებით გათვალისწინებულ ფინანსურ ჯილდოზე წარდგენის შუამდგომლობის შესახებ.

მოისმინეს: 8. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სამეცნიერო სამსახურმა საბჭოს წინაშე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოადგინა დოქტორანტთა სადისერტაციო თემები და ხელმძღვანელები.

აზრი გამოთქვეს: ზ. აბაშიძემ, ხათუნა მაისაშვილმა, ზ. დავითაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტების თემები და ხელმძღვანელები (იხ. დანართი)

მოისმინეს: 9. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა 2022 წლის სამეცნიერო კვლევითი აქტივობა ძირითადად, წარმატებით შეასრულა. თუმცა რამდენიმე აკადემიურმა პერსონალმა (12-მა) მოცემული აქტივობის შესრულება ვერ მოახერხა. ს. დუნდუას განცხადებით, იმ აკადემიურმა

პერსონალმა, რომელმაც ვერ შეძლო სამეცნიერო კვლევითი მინიმუმის შესრულება, წერილობითი ახსნა-განმარტების სახით მიმართა დეკანს. ს. დუნდუამ აღნიშნა, რომ მოცემული აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს სთხოვა, ემსჯელათ მოცემული პროფესორების მიერ 2022 წლის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულების შესახებ და დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება

აზრი გამოთქვეს: ხ, მაისაშვილმა, ზ. აბაშიძემ, გ. გოგსაძემ, ნ. ჭალაგანიძემ

დაადგინეს: ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს 2022 წელს სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის სხვადასხვა მიზეზის გამო შეუსრულებლობა ჩაეთვალოს საპატიოდ. გადაეცეს აღნიშნული გადაწყვეტილება თსუ-ის შესაბამის სტრუქტურებს.

მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანმა, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მისი, როგორც ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარისა და დეკანის სახელზე 2023 წლის 16 იანვარს შემოსულია ასოცირებული პროფესორის, ლია წულაძის განცხადება, სადაც ლია წულაძე ითხოვს 2022 წლის 29 სექტემბრის (ოქმი #7) საბჭოს გადაწყვეტილების გადახედვას სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების პერიოდში მის მიერ განხორციელებული ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულების თაობაზე; ასევე, სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების პერიოდში დაწერილი სახელმძღვანელოს „კულტურის სოციოლოგია: როგორ გვანიჭებს საზრისს კულტურა“ ელექტრონული გამოცემის დაფინანსებას

აზრი გამოთქვეს: ა. ბერძენიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, ს. კუხიანიძემ, ა. აბაშიძემ, რ. ჯორბენაძემ.

საბჭოს წევრების უმრავლესობის აზრით, იქიდან გამომდინარე, რომ არ იკვეთება ახალი გარემოებები, თუ რატომ უნდა გადაიხედოს ლ. წულაძის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის (ოქმი #7) დადგენილება, საკითხი არ დამდგარა კენჭისყრაზე. ხოლო სახელმძღვანელოს დაფინანსების საკითხი, საბჭოს წევრების აზრით შესაძლებელი იყო დამდგარიყო კენჭისყრაზე.

დაადგინეს: ასოცირებული პროფესორის, ლია წულაძის სახელმძღვანელოს „კულტურის სოციოლოგია: როგორ გვანიჭებს საზრისს კულტურა“ ელექტრონული ფორმით გამოცემა დაფინანსდეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე სალომე დუნდუა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

23/03/2023

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

ვალერიან მელიქიძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

შოთა ქარქაშაძე

ნინო პაქსაშვილი

ცირა თოფურია

კახი კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანს

ქალბატონ სალომე დუნდუას

ასოცირებული პროფესორის

ნიკოლოზ სამხარაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ ამჟამად ვმუშაობ ახალ სტატიაზე სამუშაო სათაურით - „ასოცირებული ტრიოს ქვეყნებისა და ბოსნიის ევროკავშირში ინტეგრაციის პროგრესის შედარებითი ანალიზი," რომელშიც აქცენტი გაკეთებულია ერთის მხრივ - საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას, ხოლო, მეორეს მხრივ - ბოსნია-ჰერცოგოვინას მიერ ევროინტეგრაციის გზაზე გადადგმული ნაბიჯების შედარებაზე.

გაცნობებთ, რომ სტატიის გამოქვეყნებას ვგეგმავ სკოპუსის ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალში და ასევე მონაწილეობას მივიღებ საერთაშორისო კონფერენციაში.

ამის გათვალისწინებით, გთხოვთ, გამიფორმოთ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება 2023 წლის სექტემბრამდე.

პატივისცემით,

ნიკოლოზ სამხარაძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს
ქ-ნ მანანა შამილიშვილს,
ამავე ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების
სამსახურის უფროსის,
სანდრო ტაბატაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ქ-ნ მანანა, მოგახსენებთ, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, სალომე დუნდუას თანაავტორობით 2023 წელს გამოქვეყნდა სტატია Web of Science-ში ინდექსირებულ იმპაქტ ფაქტორის მქონე (IF= 0.892)საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში "Transylvanian Review of Administrative Sciences". წარმოდგენილი სამეცნიერო პუბლიკაცია აკმაყოფილებს თსუ-ის რექტორის 2021 წლის 19 მაისის N12/04 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს

Tabatadze, S., & **Dundua, S.** (2023). What Makes Education Policy Transfer Successful? The Case of the National Assessment and Examination Center of Georgia. *Transylvanian Review of Administrative Sciences*, *19*(68), 114-131.

მტკიცებულებები:

- https://rtsa.ro/tras/index.php/tras/pages/view/impact
- https://rtsa.ro/tras/index.php/tras/article/view/736
- https://www.tsu.ge/ka/legal/41885

ვადასტურებ, რომ ასოცირებულ პროფესორ სალომე დუნდუას, მოცემული სამეცნიერო პუბლიკაციის გარდა, 2023 წლის მდგომარეობით სახელფასო სარგოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი 420 ქულაზე აქვს შესრულებული. კერძოდ:

- ბოლო 3 წელიწადში (2021-2023 წწ.) გამოქვეყნებული, სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-სა და Scopus-ის მიერ

1. Tabatadze, S., Dundua, S., & Chkuaseli, K. (2022). Liberal-democratic values and secondary school: The case of Georgia. *Journal of Eurasian Studies*, 18793665221134305

   ფასდება 80 ქულით

2. Tabatadze, S., & Dundua, S. (2023). What Makes Education Policy Transfer Successful? The Case of the National Assessment and Examination Center of Georgia. *Transylvanian Review of Administrative Sciences*, *19*(68), 114-131.
   ფასდება 80 ქულით

3. Dundua. S., Karaia, T. & Tabatadze, S. (2022). Tbilisi Urban Social Movements: On the Verge of Success/Failure. *European Journal of Tranformation Studies*, *11* (2), 21-39.
   ფასდება 80 ქულით

- ბოლო 5 წელიწადში (2019-2023 წწ.) **სამეცნიერო საგრანტო პროექტში** ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით **მონაწილეობა**

4. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2019 წლის პროექტის „სოციალური მოძრაობები თანამედროვე საქართველოში“. პროექტის ხელმძღვანელი.

<u>ფასდება 50 ქულით</u>

- ბოლო 3 წელიწადში (2021-2023 წწ.) გამოქვეყნებული **რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები,** რომლებსაც აქვთ ISSN კოდი, ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით, არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის და **ინდექსირებულია Google Scholar-ში**

5. Tabatadze, S., & Dundua, S. Mainstreaming the right-wing radicalism and extremism: basic approaches and perceptions from Georgian academia. *Review of Nationalities*, *11*(1), 15-29.
<u>ფასდება 50 ქულით</u>

6. Tabatadze, S., & Dundua, S. (2022). Social Science Knowledge Commercialization: The Case Study of Social Sciences at Tbilisi State University. *Studia Politicae Universitatis Silesiensis*, 3-26.

<u>ფასდება 50 ქულით</u>

- ბოლო 3 წელიწადში (2021-2023 წწ.) მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც (მტკიცებულებად წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნებული აბსტრაქტი) ინდექსირებულია Google Scholar-ში*

7. Dundua, S., & Karaia, T. (2021). *“Let's Defend My, Your, Our Batumi"-Social Movement to Save the Historic Look of Batumi.*
<u>ფასდება 30 ქულით</u>

სანდრო ტაბატაძე

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

15.03.2023

სადისერტაციო თემის სათაურებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება

დოქტორანტის სახელი,გვარი	სადოქტორო პროგრამა	სემესტრი	თეზისი	სამეცნიერო ხელმძღვანელი
1. ზურაბ აბაშიძე	პოლიტიკის მეცნიერება	II	,,კიბერსაფრთხე - ეროვნული უსაფრთხოების ახალი გამოწვევა და პოლიტიკური კონფლიქტისახლებური გააზრება (საქართველოსა და უკრაინის მაგალითზე)''	პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე
2. ზურა ჭანკვეტაძე	პოლიტიკის მეცნიერება	II	,,კეთილდღეობის პოლიტიკა: ევროპული გამოცდილება და პოსტსაბჭოთა საქართველო''	ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე; პროფესორი გია ჟორჟოლიანი
3. მარიანა ქევხიშვილი	პოლიტიკის მეცნიერება	II	,,საქართველოს ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების ლობისტური საქმიანობა აშშ-ში თანამედროვე ეტაპზე''	პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე
4. თემურ გუგუშვილი	სოციოლოგია	II	"მოსახლეობის საარსებო წყაროების დივერსიფიკაცია რურალურ საქართველოში"	ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი
5. სალომე დოლიძე	სოციოლოგია	II	„განათლებისა და დასაქმების პროცესის მიღმა მყოფი ახალგაზრდების ზრდასრულობაში ტრანზიციის პროცესზე მოქმედი ფაქტორების კვლევა საქართველოში"	ასოცირებული პროფესორი ანა დიაკონიძე
6. გვანცა ხუნწარიძე	სოციოლოგია	II	,,ცოდნის კომოდიფიკაცია, ნეოლიბერალიზმი და საჯარო სიკეთე უმაღლეს განათლებაში-ქართული უმაღლესი განათლების სფეროს ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ანალიზი''	პროფესორი მარინა მუსხელიშვილი
7. მარიამ ქებაძე	მასობრივი კომუნიკაცია	II	„დამსაქმებლის კორპორატიული კომუნიკაციური კულტურა და იერარქია ქართულ სოციალურ მედიაში"	ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი

8. მარიამ სხილაძე	მასობრივი კომუნიკაცია	II	,,რუსული პროპაგანდისტული და მანიპულაციური დისკურსი უახლეს ქართულ მედიაში ომისა და კრიზისული ვითარების რეპრეზენტაციისას (2008-2022 წლები)''	ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელის ცვლილება

დოქტორანტის სახელი,გვარი	**სადოქტორო პროგრამა**	**სემესტრი**	**ძველი ხელმძღვანელი**	**თეზისი**	**ცვლილების შედეგად დამტკიცებული სამეცნიერო ხელმძღვანელი**
ჯონი კვინიკაძე	პოლიტიკის მეცნიერება	VI	ასოცირებული პროფესორი ნანი მაჭარაშვილი	,,არასამთავრობო სექტორის ეფექტურობა; სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფორმისა და ფუნქციის ზეგავლენა ჩართულობის ხარისხზე''	ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე
ნატალია პონომარიოვა	მასობრივი კომუნიკაცია	VIII	ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე	,,კრიზისული სიტუაციების ასახვა ქართულ და უცხოურ მედიაში''	ასოცირებული პროფესორი ხათუნა კაჭარავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს და
საბჭოს თავმჯდომარეს, ასოცირებულ პროფესორ სალომე დუნდუას,
ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, ლია წულაძის

განცხადება

2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის 21 ივნისამდე ვიმყოფებოდი სამეცნიერო-აკადემიურ შვებულებაში, რომლის ფარგლებშიც სამი სამეცნიერო ნაშრომი შევქმენი: 1. სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდების განახლებული სახელმძღვანელო, რომელიც ამჟამად დაკაბადონების პროცესშია; 2. კულტურის სოციოლოგიის ორიგინალური სახელმძღვანელო, რომელმაც სოციოლოგიის (პროფ. ამირან ბერძენიშვილი), ფილოსოფიის (პროფ. აკაკი ყულიჯანიშვილი) და ფსიქოლოგიის (პროფ. მარინე ჩიტაშვილი) პროფესორების დადებითი რეცენზია მიიღო; 3. სამეცნიერო სტატია სათაურით "Euro-optimism Intertwined with Pragmatism: Elite and Popular Discourses on Georgia's Europeanization through Q Methodology", რომელიც იბეჭდება საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის Caucasus Survey (0.7 იმპაქტის მქონე) სპეციალურ ნომერში Georgia's Strategic Path. სტატია ინოვაციურ მეთოდოლოგიას ეფუძნება, რომლის საფუძველზე დღემდე საქართველოში კვლევა არ ჩატარებულა. წერილს თან ვურთავ ჟურნალის მიერ სტატიის მიღების დასტურს, ასევე, ფაკულტეტისთვის წარმოდგენილ დეტალურ სამეცნიერო ანგარიშს.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე სამეცნიერო პროდუქტი შესაბამის ვადებში წარვადგინე (იხ. ჩემი მიმოწერა თამარ დოლბაიასთან) და სამივე მათგანმა დადებითი რეცენზია მიიღო, ფაკულტეტის იმჟამინდელმა დეკანმა, ასოც. პროფესორმა თამარ დოლბაიამ სამეცნიერო პროდუქტი არასრულად შესრულებულად ჩამითვალა. გარდა ამისა, მან მომთხოვა, საკუთარი ხარჯით დამეკაბადონებინა სახელმძღვანელოები, რომლებიც სამეცნიერო-აკადემიური შვებულების ფარგლებში შევქმენი. ჩემი წინააღმდეგობის შედეგად, მან მიიღო გადაწყვეტილება, ერთი სახელმძღვანელო ფაკულტეტს დაეკაბადონებინა, თუმცა მეორე სახელმძღვანელოზე მსგავსი გადაწყვეტილება არ მიუღია. ამასთან, მან განაცხადა, რომ ჩემი სამეცნიერო სტატია ვერ ჩაითვლება იმპაქტფაქტორის მქონედ, რადგან აღნიშნულ ჟურნალს იმპაქტის „ქულა" აქვს და არა „ფაქტორი." მოგეხსენებათ, რომ ჟურნალის იმპაქტის შეფასებას ორი სისტემა ახდენს - Web of Science, რომელიც Impact Factor-ს ანიჭებს და Scopus, რომელიც Impact Score-ს ანიჭებს, თუმცა იმპაქტის მინიჭების კრიტერიუმები აბსოლუტურად იდენტურია. პირველი, ტრადიციულად, ზუსტი და საბუნებისმეტყველო ჟურნალების ინდექსირებას ახდენდა, მეორე კი - სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების, თუმცა ბოლო წლებში ვითარება შეიცვალა და ორივე სისტემა ახდენს სხვადასხვა დისციპლინის ჟურნალების ინდექსირებას. ეს ჩვენი ფაკულტეტის სამეცნიერო აქტივობის შეფასების

ფორმაშიც აისახება, რომელიც თანაბარ წონას ანიჭებს Web of Science და Scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალებს. ჟურნალი Caucasus Survey წლებია Scopus-შია ინდექსირებული და მხოლოდ რამდენიმე წელია დაემატა Web of Science-ის სისტემას და ამ სისტემაში მისი იმპაქტის მონაცემები მხოლოდ 2023 წლის ბოლოსთვის აისახება. თუმცა, მთავარი ხომ თავად იმპაქტის ქონაა და არ აქვს მნიშვნელობა, მას იმპაქტფაქტორს ვუწოდებთ თუ იმპაქტის ქულას; მით უმეტეს, რომ ქართულ ენაში პირველი ტერმინია დამკვიდრებული და იმპაქტის ქულას არ იყენებენ. რადგან ჟურნალის რედაქტორებისგან მოწვევა მქონდა, რომ საქართველოს შესახებ სპეციალურ ნომერში გამომექვეყნებინა სტატია, ჩემს სამეცნიერო შვებულების განცხადებაში მითითებული მაქვს, რომ იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალში ვგეგმავდი სტატიის გამოქვეყნებას.

წარმოდგენილი სამეცნიერო პროდუქტი და თითოეულის მაღალი ხარისხი ადასტურებს, რომ თამარ დოლბაიას გადაწყვეტილება უსამართლოა და მას პირადი ანგარიშსწორების მოტივაცია ამოძრავებდა. ამდენად, გთხოვთ, ხელახლა განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოთ ჩემი სამეცნიერო პროდუქტის ხარისხთან და შესრულების ვადებთან დაკავშირებით.

პატივისცემით, ლია წულაძე

ლ. წულაძ

16.01.2023